жир ცხიმი, ქონი; ж. животный ცხოველური ცხიმი; ж. полутвердый ნახევრად მყარი ცხიმი; ж. рыбий თევზის ქონი; ж. твердый მყარი ცხიმი; жиры ცხიმეული, ცხიმეულობა

жирноплотный პოხიერ-მკვრივი

жирнопористый პოხიერ-ფოროვანი

жирность ცხიმიანობა, პოხიერება

жирный ცხიმოვანი, პოხიერი; ж. на ощупь შეხებით ცხიმოვანი

жирование გაცხიმოვნება, გაპოხვა

жировой ცხიმისა, ცხიმეულისა, ცხიმოვანი

жирокомпас იხ. гирокомпас

жироловка ცხიმსაჭერი

жиронепроницаемый ცხიმშეუღწევი

жироплан იხ. гироплан

жирорастворимость ცხიმში ხსნადობა

жирорастворимый ცხიმში ხსნადი
жирорастворитель ცხიმგამხსნელი
жирорастворяющий ცხიმგამხსნელი
жироскоп იხ. гироскоп
жиротиллер ჟიროტილერი
жироуловитель ცხიმსაჭერი
жмыходробилка კოპტონსაღერღი; ж. ручная ხელის კოპტონსაღერღი
жнейка იხ. жатка
жом წნეხი; ნაწნეხი; ж. для криц გუნდის წნეხი
жужжание ზუზუნი
журавль ოწინარი
журнал ჟურნალი; ж. аппаратный საპარატო ჟურნალი; ж. буровой ბურღვის ჟურნალი; ж. весовой წონის ჟურნალი; ж. движения поездов მატარებელთა მიმოსვლის ჟურნალი; ж. линейный სახაზო ჟურნალი
жучки (валков) ხოჭოები

З

заасфальтированный მოასფალტებული
заасфальтировать მოასფალტება
забанкетный ბანკეტმიღმა
забег стыка პირაპირის აცდენა
забегающий შემომრბენი
забивание, забивка ჩასობა, ჩარჭობა, დაცობა, გაჭედვა; з. дюбеля დიუბელის ჩასობა; з. концов труб მილების ბოლოების ჩასობა; з. насадки წყობურის გაჭედვა; з. сваи ხიმინჯის ჩასობა; з. стружки ბურბუშელის გაჭედვა
забивной ჩასასობი
забитый ჩასობილი
забонны მეტნაბეჭი, ზოლიანობა
забой[1] სანგრევი; з. бесподбойный შეუყელავი სანგრევი; з. веерообразный მარაოსებრი სანგრევი; з. восстающий აღმავალი სანგრევი; з. встречный შემხვედრი სანგრევი; з. глухой ურუ სანგრევი; з. горизонтальный ჰორიზონტალური სანგრევი; з. диагональный დიაგონალური სანგრევი; з. догоняющий დამწევი სანგრევი; з. зубчатообразный დაკბილული სანგრევი; з. искривленный გამრუდებული სანგრევი; з. механизированный მექანიზებული სანგრევი; з. молотковый სარქაქუნე სანგრევი; з. открытый ღია სანგრევი; з. отстающий ჩამომრჩენი სანგრევი; з. отступающий უკუმხევი სანგრევი; з. очистный საწმენდი სანგრევი; з. передний წინა სანგრევი; з. пилообразный ხერხისებრი სანგრევი; з. подготовительный მოსამზადებელი სანგრევი; з. потолокоуступный ზეკიბური სანგრევი; з. почвоуступный ქვეკიბური სანგრევი; з. рабочий მუშა სანგრევი; з. сплошной მთლიანი სანგრევი; з. ступенчатый საფეხუროვანი სანგრევი; з. тупиковый ჩიხური სანგრევი; з. уступный იხ. з. ступенчатый
забой[2] ნაჩაქუჩარი
забойка დაცობა; საცობი; з. внешняя გარეშე საცობი; з. шпура შპურის დაცობა
забойник საცობი
забойный[1] ჩასასობი
забойный[2] სანგრევისა, სასანგრევო
забойщик მესანგრევე
забойщицкий სამუშაოველო
заболачиваемость დაჭაობებადობა
заболачивание დაჭაობება
заболонный ნაქურთენისა
заболонь ნაქურთენი
заболоченность ჭაობიანობა
заболоченный ჭაობიანი, დაჭაობებული
забор[1] ღობე; з. оградительный საფარი ღობე; з. плетеный წნული ღობე; з. плетневый წნელის ღობე; з. снеговой თოვლის ღობე
забор[2] აღება; з. воды წყლის აღება; з. воздуха ჰაერის აღება
заборный ამღები, ასაღები
забортовка მობორტება, მოქიმება
забракованный წუნდებული, დაწუნებული
забраковка წუნდება, დაწუნება
забрало ზარადი
забральный ზარადისა; საკაე
забранный ამოფიცრული
забрасыватель ჩამყრელი
забрать досками ამოფიცრა
заброс (забрасывание) ковша ცელხის გადასროლა
забросать ჩაყრა, შეყრა; з. шихту კაზმის ჩაყრა
забрызгивание შეშხეფება
забуривание[1] წინაბურღვა; з. скважины ჭაბურღილის წინაბურღვა
забуривание[2] (рельсовиден) გადმოვარდნა; з. вагона ვაგონის (რელსებიდან) გადმოვარდნა
забурившийся (рельсовиден) გადმოვარდნილი
забурник წინაბურღი; з. направляющий მიმართველი წინაბურღი
забутка, забутовка, забучивание ამოყორვა; з. камнем ქვით ამოყორვა; з. фундамента საძირკვლის ამოყორვა
забутовщик ამომყორავი
забухание გაჯირჯვება
завал[1] ნაზღვლევი, ჩამონაქცევი (მიწისა); ხერგი (ხე-ტყისა); ზვავი; з. снежный ზვავი, თოვლის ზ.
завал[2] ჩაწევა; з. характеристики მახასიათებლის ჩაწევა
завалка ჩაყრა, ამოვსება, ჩახორვა, ჩახერგვა; ჩატვირთვა; ჩანატვირთი
завалочный ჩამტვირთავი
заварка შედუღება
завертка ბრუნსაკეტი; з. оконная ფანჯრის ბრუნსაკეტი; з. форточная სარკმლის ბრუნსაკეტი
завертывание გახვევა, შეხვევა, შეფუთვა
завеса ფარდა; з. водяная წყლის ფარდა; з. воздушная ჰაერის ფარდა; з. дымовая კვამლის ფარდა; з. противофильтрационная ფილტრაციისაწინააღმდეგო ფარდა; з. радиолокационная რადიოლოკაციური ფარდა
заветренный ქარისაგან დაცული
завивание стружки ბურბუშელის დახვევა
завинчивание ჩახრახნა
зависание ჩაკიდება; з. топлива სათბობის ჩაკიდება; з. шихты კაზმის ჩაკიდება
зависимость დამოკიდებულება; з. линейная წრფივი დამოკიდებულება; з. температурная ტემპერატურული დამოკიდებულება; з. функциональная ფუნქციური დამოკიდებულება
зависимый, зависящий დამოკიდებული
завитой ხვეული, ხუჭუჭი
завиток ხვეული; з. несквозной არაგამჭოლი ხვეული; з. сквозной გამჭოლი ხვეული
завихрение აგრიგალება; з. струи ჰაერის აგრიგალება
завихренность აგრიგალებულობა
завихренный აგრიგალებული
завихритель აგრიგალებელი
завихряющий მაგრიგალებელი
завлечение наносов ნატანის წატაცება
завод[1] ქარხანა; з. автоматический ავტომატური ქარხანა; з. автомобильный საავტომობილო ქარხანა, ავტოქარხანა; з. авторемонтный ავტოსარემონტო ქარხანა; з. автосборочный ავტოსაწყობო ქარხანა; з. агрегатно-ремонтный აგრეგატების-სარემონტო ქარხანა; з. аммиачно-содовый ამიაკ-სოდის ქარხანა; з. бетонный ბეტონის ქარხანა; з. бондарный საკასრე ქარხანა; з. вагоноремонтный ვაგონშემკეთებელი ქარხანა, ვაგონსარემონტო ქ.; з. вагоностроительный ვაგონსაშენი ქარხანა; з. газовый აირის ქარხანა; з. гвоздильный ლურსმნის ქარხანა; з. дрожжевой საფუვრის ქარხანა; з.-изготовитель დამამზადებელი ქარხანა; з. инструментальный საიარაღო ქარხანა; з. кабельный საკაბელე ქარხანა; з. камнедробильный ქვასამსხვრევი ქარხანა; з. керамический კერამიკის ქარხანა; з. кирпичный აგურის ქარხანა; з. кожевенный ტყავის ქარხანა; з. коксовальный საკოქსაო ქარხანა; з. коксохимический კოქსქიმიური ქარხანა; з. ледоделательный ყინულის ქარხანა; з. лесопильный სახერხი ქარხანა; з. литейный სამსხმელო ქარხანა; з. локомотиворемонтный ლოკომოტივსარემონტო ქარხანა; з. маслобойный ზეთსახდელი ქარხანა; з. маслодельный ერბო-კარაქის ქარხანა; з. машиностроительный მანქანათმშენებელი ქარხანა; з. медеплавильный სპილენძსადნობი ქარხანა; з. металлургический მეტალურგიული ქარხანა; з. механический მექანიკური ქარხანა; з. мыловаренный საპნის ქარხანა; з. нефтеперегонный ნავთობსახდელი ქარხანა; з. нефтеперерабатывающий ნავთობგადასამუშავებელი ქარხანა; з. оружейный თოფ-იარაღის ქარხანა; з. пластических масс პლასტმასის ქარხანა; з.-поставщик მომწოდებელი ქარხანა; з. прокатный საგლინი ქარხანა; з. ремонтный სარემონტო ქარხანა; з. рудоплавильный მადანსადნობი ქარხანა; з. сахарный შაქრის ქარხანა; з. солеваренный მარილსახდელი ქარხანა; з. сталелитейный ფოლადსასხმელი ქარხანა; з. сталеплавильный ფოლადსადნობი ქარხანა; з. станкостроительный ჩარხთსაშენი ქარხანა; з. стекольный მინის ქარხანა; з. судостроительный გემთსაშენი ქარხანა; з. тракторный ტრაქტორის ქარხანა; з. фанерный ფანერის ქარხანა; з. флотационный საფლოტაციო ქარხანა; з. химический ქიმიური ქარხანა; з. хлебный პურის ქარხანა; з. хлопкоочистительный ბამბასაწმენდი ქარხანა; з. цементный ცემენტის ქარხანა; з. чугунолитейный თუჯსასხმელი ქარხანა; з. чугуноплавильный თუჯსადნობი ქარხანა; з. шпалопропиточный შპალსაჟღენთი ქარხანა; з. щебеночный ღორღის ქარხანა; з. электровозоремонтный ელექტრომავალსარემონტო ქარხანა; з. электровозостроительный ელექტრომავალთსაშენი ქარხანა; з. электроизоляционный ელექტროსაიზოლაციო ქარხანა; з. электромашиностроительный ელექტრო-

მანქანათსაშენი ქარხანა; з. электрометаллургический ელექტრომეტალურგიული ქარხანა; з. электромеханический ელექტრომექანიური ქარხანა

завод² მომართვა; з. электрический ელექტრომომართვა

заводить მომართვა; ამუშავება; з. часы საათის მომართვა

заводка გაყრა; შეყვანა; მოსამართი; з. всасыванием შესრუტვით გაყრა; з. нитей ძაფის გაყრა; з. утка მისაქსელის შეყვანა

заводной მოსამართი; ასამუშავებელი

заводской ქარხნისა. საქარხნო, ქარხნული

завозный შემოსაზიდი; შემოზიდული

заворот გადაკეცვა; წანაკეცი

заворот მოხვევა; მოსახვევი

завуалирование დაბურვა

завулканизированный ვულკანიზებული

завязка შეკვრა; კავშირი

завязывание შეკვრა

загазирование, загазование დაორთქლება, დაგაზიანება; з. выработки გვირაბის დაორთქლება

загазированный დაორთქლებული, დაგაზიანებული

загиб გადაღუნვა, გადაკეცვა; ნაღუნი, ნაკეცი; з. холодный ცივი ნაღუნი

загибание кромки ნაწიბურის გადაღუნვა, ნ. გადაკეცვა

загибочный გადასაკეცი

загибщик გადამკეცი

заглубление ჩაღრმავება

заглубленный ჩაღრმავებული

заглушающий დამხშველი

заглушение დახშობა, ჩახშობა, გაყუჩება, ჩაქრობა; з. звука ბგერის ჩახშობა

заглушина საფეხურქვეშე

заглушка სახშობი; з. деревянная ხის სახშობი; з. клапана სარქველის სახშობი; з. фланцевая მილტუჩის სახშობი

загнивание დალპობა, ჩალპობა

загниватель დამლპობი

загнутый გადაღუნული, გადაკეცილი

загон საქცევი

загон воды წყლის შეშვება

загораживание გადაღობვა, შემოღობვა

загородка ღობურა

заготовительный დამამზადებელი

заготовка დამზადება; ნამზადი; з. арматуры არმატურის დამზადება; з. кратная ჯერადი ნამზადი; з. леса ხე-ტყის დამზადება; з. листовая ფურცლოვანი ნამზადი; з. металлическая ლითონის ნამზადი; з. металлокерамическая ლითონკერამიკული ნამზადი; з. трубная მილნამზადი; з. черновая შავად ნამზადი; з. чугунная თუჯის ნამზადი

заготовочный სანამზადო

заготовщик მენამზადე; დამამზადებელი; з. леса ხე-ტყის დამამზადებელი

заградитель გადამღობი; ღობურა

заградительный, заграждающий გადამღობი

заграждение ღობურა; ხლართი; з. аэростатное აეროსტატების ღობურა; з. воздушное საჰაერო ღობურა; з. минное ნაღმური ღობურა; з. проволочное მავთულის ხლართი; з. сетевое ბადის ღობურა

загребающий, загребной მოსახვეტი

загромождение შეხორგა, გადატვირთვა

загрубление прибора ხელსაწყოს მგრძნობიარობის დაქვეითება

загрузка ჩატვირთვა, დატვირთვა; ჩანატვირთი; з. автоматическая ავტომატური ჩატვირთვა; з. бункерная ხვიმირული დატვირთვა; з. магазинная წყობილა ჩატვირთვა; з. печи ღუმლის ჩატვირთვა; з. станков ჩარხების დატვირთვა; з. шихты კაზმის ჩატვირთვა

загрузочный ჩამტვირთავი, ჩასატვირთი; დატვირთვისა

загрузчик ჩამტვირთავი

загрунтовка დაგრუნტვა

загрязнение გაჭუჭყიანება, გაუსუფთაოება; з. воздуха ჰაერის გაჭუჭყიანება

загрязненный გაჭუჭყიანებული

загудронировать მოგუდრონება

загустение გასქელება, შესქელება

загустка სასქელებელი

задав ჩამძირველი

задание დავალება; მოცემულობა; з. дневное დღიური დავალება; з. на проектирование საპროექტო დავალება; з. проектное საპროექტო მოცემულობა; з. производственное საწარმოო დავალება

заданное заранее წინასწარ მოცემული, წ. დასახული

заданный მოცემული

задатчик მავალებელი

задача ამოცანა; з. краевая სასაზღვრო ამოცანა; з. на построение აგების ამოცანა; з. плоская სიბრტყივი ამოცანა; з. пространственная სივრცული ამოცანა; з. тормозная სამუხრუჭო ამოცანა

задающий მავალებელი; ამგზნები; მიმწოდებელი

задвижка საკვალთი; з. водяная წყლის საკვალთი; з. газовая აირსაკვალთი; з. дверная კარის საკვალთი; з. мебельная ავეჯის საკვალთი; з. напорная სადაწნეო საკვალთი; з. паровая ორთქლის საკვალთი; з. поперечная განივი საკვალთი; з. ручная ხელის საკვალთი

задвижной შესაწევი

задевание მოდება, მოკიდება, მოჭიდება

задел მარაგნაკეთი; з. межлинейный ხაზთშორისი მარაგნაკეთი; з. цикловой ციკლური მარაგნაკეთი

заделанный ამოშენებული, ამოვსებული, ამოქოლილი, ჩაკეთებული, ჩამაგრებული

заделка ამოშენება, ამოვსება, ამოქოლვა, ჩაკეთება, ჩამაგრება; ჩანაკეთი; з. балки კოჭის ჩამაგრება; з. выбоины ნაჯოს ამოქოლვა; з. дверн კარის ამოშენება, კ. ამოქოლვა; з. летки კრიჭის ჩაკეთება; з. отверстия ნახვრეტის ამოვსება; з. сучков ნაროკალის ამოვსება; з. троса გვარლის ჩამაგრება; з. швов ნაკერების ამოვსება

задержанный დაყოვნებული, შეფერხებული, შეკავებული

задерживание დაყოვნება, შეფერხება, შეკავება

задерживающий მაკავი

задержка დაყოვნება, შეფერხება, შეკავება; საკავი; з. абсолютная აბსოლუტური დაყოვნება; з. групповая ჯგუფური დაყოვნება; з. затворная საკეტის საკავი; з. фазовая ფაზური დაყოვნება

задерновать მობელტვა

задир ანაგლეჯი; з. коры ქერქის ანაგლეჯი

задирание ანაგლეჯა

задник საქუსლარი; з. внутренний შიგა საქუსლარი

задонка бочки კასრში ძროს ჩასმა

задросселированный დროსელირებული

задувливание ჩათრიმვლა

задувка печи ღუმლის ამუშავება, ღ. გაღვივება

задувочный გასაღვივებელი

задымление გაკვამლიანება

задыхание древесины მერქნის ჩახუთვა

заевший ჩაჭედილი

заедание ჩაჭედა; з. каната ბაგირის ჩაჭედა; з. клапана სარქველის ჩაჭედა; з. пилы ხერხის ჩაჭედა

заезд შემოვლა, ერთი გზობა; з. тупиковый ჩიხური შესავალი

заершенный ფხიანი

зажатый ჩაჭერილი

зажелезненный მოპირკეთებული

зажженный ანთებული

зажигалка სანთებელა

зажигание ანთება; з. аккумуляторное აკუმულატორული ანთება; з. батарейное ბატარეული ანთება; з. газового разряда აირული განმუხტვის ანთება; з. двойное ორმაგი ანთება; з. дуги რკალის ანთება; з. калоризаторное კალორიზატორული ანთება; з. контактной массы საკონტაქტო მასის ანთება; з. обратное უკუანთება; з. от бобины ბობინით ანთება; з. от магнето მაგნეტოთი ანთება; з. позднее ნაგვიანევი ანთება; з. раннее ნაადრევი ანთება; з. слабое სუსტი ანთება; з. с опережением წინსწრებით ანთება; з. электрическое ელექტრული ანთება

зажигатель ამნთები; з. цериевый ცერიუმის ამნთები

зажигательный ანთებისა, ამნთები

зажигающийся ანთებადი

зажим ჩაჭერა; მომჭერი, ჩამჭერი; з. аппаратный სააპარატო მომჭერი; з. бара ბარის ჩაჭერა; з. винтовой ხრახნული მომჭერი; з. двухзахватный ორსატაციანი მომჭერი; з. каната ბაგირის მომჭერი, ბ. ჩამჭერი; з. клиновой სოლური მომჭერი; з. ответвительный განმაშტოებელი მომჭერი; з. питающий მკვებავი მომჭერი; з. пневматический პნევმატიკური მომჭერი; з. пружинящий მზამბარავი მომჭერი; з. скобовый კავიანი მომჭერი; з. эксцентриковый ექსცენტრიკული მომჭერი; з. электродный ელექტროდის მომჭერი

зажимание მოჭერა

зажимный მომჭერი, მოსაჭერი

зажор ყინულხერგილი

заземление ჩამიწება; з. глухое ყრუ ჩამიწება; з. защитное დამცავი ჩამიწება; з. рабочее მუშა ჩამიწება

заземленный ჩამიწებული

заземлитель ჩამამიწებელი; з. протяженный განფენილი ჩამამიწებელი; з. сосредоточенный ჩაწერტებული ჩამამიწებელი

заземляющий, заземлительный ჩამამიწებელი

зазор ღრეჩო; з. боковой გვერდული ღრეჩო; з. воздушный ჰაერის ღრეჩო; з. в стыке ღრეჩო პირაპირში; з. гарантированный გარანტირებული ღრეჩო; з. диаметральный დიამეტრული ღრეჩო; з. допускаемый დაშვებული ღრეჩო; з. искровой სანაპერწკლო ღრეჩო; з. клапанный სარქველის ღრეჩო; з. магнитный მაგნიტური ღრეჩო; з. наибольший უდიდესი ღრეჩო; з. наименьший უმცირესი ღრეჩო; з. нерегулируемый არარეგულირებადი ღრეჩო; з. нормальный ნორმალური ღრეჩო; з. осевой ღერძული ღრეჩო; з. предельный ზღვრული ღრეჩო; з. продольный გრძივი ღრეჩო; з. радиаль-

ный რადიალური ღრეჩო; з. регулируемый რეგულირებადი ღრეჩო; з. средний საშუალო ღრეჩო; з. температурный ტემპერატურული ღრეჩო

зазоромер ღრეჩოსაზომი

зазубрение დაკბილვა

зазубренный დაკბილული

зазубрина ნაკბილი

заиление, заиловка დალამვა; з. древесины მერქნის დალამვა

заиленность დალამულობა

заиленный დალამული

заиловочный ლამსაშვები

зайчик световой თინათინი

закал წრთობა; წრთობილობა; з. обратный უკუწრთობა

закаленный ნაწრთობი

закаливаемость წრთობადობა

закаливание წრთობა, გამოწრთობა

закаливающий საწრთობი

закалка წრთობა; წრთობილობა; з. буров ბურღების წრთობა; з. в воде წყალში წრთობა; з. в воздухе ჰაერში წრთობა; з. в горячей среде ცხელ გარემოში წრთობა; з. в масле ზეთში წრთობა; з. вторичная მეორეული წრთობა; з. в холодильниках მაცივრებში წრთობა; з. высокочастотная მაღალსიხშირული წრთობა; з. газовая აირული წრთობა; з. двойная ორმაგი წრთობა; з. изотермическая იზოთერმული წრთობა; з. индукционная ინდუქციური წრთობა; з. комбинированная კომბინირებული წრთობა; з. контактная კონტაქტური წრთობა; з. ломанная ტეხილი წრთობა; з. неполная არასრული წრთობა; з. поверхностная ზედაპირული წრთობა; з. под давлением წრთობა წნევისას; з. полная სრული წრთობა; з. прерывистая წყვეტილი წრთობა; з. при отливке წრთობა ჩამოსხმისას; з. резкая მკვეთრი წრთობა; з. сквозная გამჭოლი წრთობა; з. с самоотпуском წრთობა თვითმოშვებით; з. струйчатая ჭავლური წრთობა; з. ступенчатая საფეხუროვანი წრთობა; з. током высокой частоты წრთობა მაღალი სიხშირის დენით; з. умеренная ზომიერი წრთობა; з. частичная ნაწილობრივი წრთობა; з. электролитом ელექტროლიტში წრთობა; з. электротермическая ელექტროთერმული წრთობა

закалочный წრთობისა, საწრთობი

закапочивание შეკაპოტვა

закарстованный დაკარსტული

закат, закатка ჩანაგლინი

закатанный ჩაგლინული

закатать ჩაგლინვა, ჩატკეცა; з. покрытие ფენილის ჩატკეცა

закатка მოხუფვა

закатодный კათოდმიღმა

закаточный მოსახუფი

закидывание ковша იხ. заброс ковша

закипание ადუღება

закисный ქვეჟანგისა, ქვეჟანგი

закись ქვეჟანგი; з. азота აზოტის ქვეჟანგი; з. активная აქტიური ქვეჟანგი; з. водная წყალქვეჟანგი; з. железа რკინის ქვეჟანგი; з. марганца მანგანუმის ქვეჟანგი; з. меди სპილენძის ქვეჟანგი; з.-окись ჟანგ-ქვეჟანგი; з. олова იხ. окись олова; з. хрома ქრომის ქვეჟანგი

закладка ჩაყრა; ჩაწყობა; ჩატანება; ამოვსება; გაყვანა; ჩასატანებელი; з. балки კოჭის ჩატანება; з. выработанного пространства ნამუშევარი სივრცის ამოვსება; з. гидравлическая ჰიდრავლიკური ამოვსება; з. дренажей დრენაჟების ჩაწყობა; з. машинная მანქანური ამოვსება; з. метательными машинами სატყორცნი მანქანებით ამოვსება; з. механизированная მექანიზებული ამოვსება; з. мокрая სველი ამოვსება; з. неплотная არამკვრივი ამოვსება; з. неполная არასრული ამოვსება; з. неслеживающаяся შეუტკეპნი ამოვსება; з. плотная მკვრივი ამოვსება; з. пневматическая პნევმატიკური ამოვსება; з. полная სრული ამოვსება; з. полумокрая ნახევრად სველი ამოვსება; з. ручная ხელით ამოვსება; з. самотечная თვითდინებითი ამოვსება; з. скважины ჭაბურღილის გაყვანა; з. сплошная მთლიანი ამოვსება; з. стрелочная ისრის ჩასატანებელი; з. сухая მშრალი ამოვსება; з. фундамента საძირკვლის ჩაყრა; з. центров ცენტრების მონიშვნა; з. частичная ნაწილობრივი ამოვსება; з. шахты შახტის გაყვანა

закладной ჩატანებისა, ჩასატანებელი

закладочный ამოვსებისა, ამოსავსები

закладчик ამომვსებელი

заклейменный დადაღული

заклепанный დამოქლონილი

заклепка დამოქლონვა; მოქლონი; з. бондарная საკასრე მოქლონი; з. временная დროებითი მოქლონი; з. полупотайная ნახევრად ფარული მოქლონი; з. потайная ფარული მოქლონი; з. с полукруглой головкой თავბურცა მოქლონი; з. с потайной головкой თავფარული მოქლონი; з.-стержень მოქლონ-ღერო; з. трубчатая მილა მოქლონი

заклепковидный მოქლონისებრი

заклепочный სამოქლონე, მოქლონური

заклепщик მემოქლონე

заклепывание დამოქლონვა

заклиненный ჩასოლილი, გაჭედილი; з. на валу ლილვზე ჩასოლილი

заклинивание ჩასოლვა, გაჭედვა; з. двигателя ძრავას ჩასოლვა; з. колес თვლების ჩასოლვა; з. колесных пар წყვილთვალის ჩასოლვა; з. шихты კაზმის გაჭედვა

заключение ჩასმა, მოთავსება, მოქცევა; з. в пределы ზღვრებში მოთავსება; з. в скобки ფრჩხილებში მოქცევა, ფ. მოთავსება

заключительный ბოლო

закозление გახირვა; з. ковша ციცხვის გახირვა; з. печи ღუმლის გახირვა

закол კიდული; ჩანატკეჩი, ჩანახეთქი

закон კანონი; з. Архимеда არქიმედეს კანონი; з. ассоциативный ასოციაციის კანონი; з. больших чисел დიდ რიცხვთა კანონი; з. взаимности ურთიერთობის კანონი; з. всемирного тяготения მსოფლიო მიზიდულობის კანონი; з. двойникования შემრჩობლების კანონი; з. действующих масс მოქმედ მასათა კანონი; з. инерции ინერციის კანონი; з. количества движения მოძრაობის რაოდენობის კანონი; з. кратных отношений ჯერად ფარდობათა კანონი; з. линейный წრფივი კანონი; з. накопления опыта გამოცდილების დაგროვების კანონი; з. паев წილთა კანონი; з. постоянных отношений მუდმივ ფარდობათა კანონი; з. постоянства материи (вещества) იხ. з. сохранения вещества; з. превращения и сохранения энергии ენერგიის გარდაქმნისა და მუდმივოდენობის კანონი; з. преломления света სინათლის გარდატეხის კანონი; з. равновесия фаз ფაზათა წონასწორობის კანონი; з. равномерного распределения თანაბრად განაწილების კანონი; з. разбавления გა(ნ)ზავების კანონი; з. распределения განაწილების კანონი; з. секториальных площадей სექტორულ ფართობთა კანონი; з. смещения გადანაცვლების კანონი; з. сохранения вещества ნივთიერების მუდმივოდენობის კანონი; з. сохранения энергии ენერგიის მუდმივოდენობის კანონი; з. Эйнштейна აინშტაინის კანონი; з. эквивалентных отношений ეკვივალენტურ ფარდობათა კანონი; з. энтропии ენტროპიის კანონი

закономерность კანონზომიერება; з. статистическая სტატისტიკური კანონზომიერება

законсервированный დაკონსერვებული

закоперщик მეურნალე

закорачивание დამოკლება; з. блокировки ბლოკირების დამოკლება

закороченный დამოკლებული

закраение досок ფიცრების განაწიბურება

закраина ნაწიბური; з. покрышки საბურავის ნაწიბური

закрепа, закрепка სამაგრი; з. для кабелей საკაბელო სამაგრი

закрепитель ფიქსაჟი; სამაგრი

закрепительный სამაგრი

закрепление пленки აფსკის დამაგრება

закрепленный დამაგრებული; გამაგრებული; з. наглухо ყრუდ დამაგრებული

закрещение выработки გვირაბის დაჯვარვა

закрещенный დაჯვარული

закройная საგამომჭრელო

закройный საგამომჭრელო

закройщик გამომჭრელი

закром ხარო

закругление[1] მომრგვალება, დამრგვალება

закругление[2] მოსახვევი; з. пологое დამრეცი მოსახვევი

закругленный მომრგვალებული, დამრგვალებული

закрутить[1] **(завить)** დაგრეხა

закрутить[2] **(завертеть)** დატრიალება

закрутка ნაგრეხი

закрученный დაგრეხილი, გრეხილი

закручивание დაგრეხა

закрылок ფრთაუკანი; з. щелевой ჭერიტის ფრთაუკანი

закрытый დახურული, დახშული

закупоривание დაცობა

закупорка დაცობა; საცობი

зал დარბაზი; з. аппаратный სააპარატო დარბაზი; з. багажный საბარგო დარბაზი; з. гимнастический სატანვარჯიშო დარბაზი; з. двусветный ორსინათლიანი დარბაზი; з. колонный სვეტებიანი დარბაზი; з. машинный სამანქანო დარბაზი; з. ожидания მოსაცდელი დარბაზი; з. пассажирский სამგზავრო დარბაზი; з. читальный სამკითხველო დარბაზი

залегание განლაგება; з. вторичное მეორეული განლაგება; з. горизонтальное ჰორიზონტალური განლაგება; з. месторождения საბადოს განლაგება; з. ненормальное არანორმალური განლაგება; з. неправильное არასწორი განლაგება; з. несогласное უთანხმო განლაგება; з. неспокойное არამშვიდი განლაგება; з. нормальное ნორმალური განლაგება; з. первичное პირველადი განლაგება; з. пластов ფენების განლაგება; з. правильное წესიერი განლაგება; з. регрессивное რეგრესული განლაგება; з. руды მადნის განლაგება; з. согласное თანხმობითი განლაგება; з. спокойное მშვიდი განლაგება

залежь ბუდობი; з. гидротермическая ჰიდროთერმული ბუდობი; з. линзообразная ლინზისებრი ბუდობი; з. нефтеносная ნავთობიანი ბუდობი; з. нефти ნავთობის ბუდობი; з. пластовая ფენოვანი ბუდობი; з. пластообразная ფენისებრი ბუდობი; з. плоская ბრტყელი ბუდობი; з. рудная მადნის ბუდობი

залив[1] ყურე

залив[2] ჭარბნასხმი

заливальщик ჩამსხმელი

заливина ნასხმევი

заливка ჩასხმა, ავსება, ამოვსება; ჩანასხმი; з. аккумуляторной батареи აკუმულატორული ბატარეის ავსება; з. баббитовая ბაბიტის ჩანასხმი; з. баббитом ბაბიტის ჩასხმა, ბაბიტით ამოვსება; з. подшипника საკისრის ჩასხმა; з. стопочная ზედწყობილი ჩასხმა; з. формы ყალიბში ჩასხმა; з. чугуном თუჯით ამოვსება; з. швов ნაკერების ამოვსება

заливной ჩასასხმელი, სასხამი

заливочный ჩასასხმელი

зализ ნასლექი

залитый ჩასხმული

заличка кожи წათრიმვლა

заложение[1] გაყვანა; ჩაყრა; з. карр ნაღარების ამოჭრა; з. фундамента საძირკვლის ჩაყრა; з. шахты ობ. закладка шахты

заложение[2] ქვედებული; з. откоса ფერდოს ქვედებული

залом ხერგი; ნაკეცი

залуженный მოკალული

залуживание მოკალვა

замазка გაგოზვა; საგოზავი; з. белильная თეთრას საგოზავი; з. вакуумная ვაკუუმის საგოზავი; з. защитная დამცავი საგოზავი; з. кислотоупорная მჟავაგამძლე საგოზავი; з. Менделеева მენდელეევის საგოზავი; з. металлическая ლითონის საგოზავი; з. стекольная მინის საგოზავი; з. уплотняющая შემამჭიდროებელი საგოზავი; з. цементирующая მაცემენტებელი გაგოზვა

замазывание გაგოზვა, დაგოზვა

замасливание გაზეთიანება; з. контактов კონტაქტების გაზეთიანება

замачивание ჩალბობა; დასველება

замащивание მოკირწყვლა

замедление შენელება, დაყოვნება; з. скорости სიჩქარის შენელება

замедленный შენელებული, დაყოვნებული

замедлитель შემნელებელი, მაყოვნებელი; з. вагонный ვაგონის შემნელებელი; з. коррозии კოროზიის მაყოვნებელი; з. нейтронный ნეიტრონული შემნელებელი; з. схватывания შეკვრის შემნელებელი

замедляющий შემნელებელი, მაყოვნებელი

замена შეცვლა, შენაცვლება; з. координат კოორდინატთა შეცვლა

заменитель შემცვლელი

заменяющий შემცვლელი, მონაცვლე

замер აზომვა, გაზომვა; з. на поверхности აზომვა ზედაპირზე

замерзание გაყინვა; з. селективное სელექციური გაყინვა

замерзший გაყინული

замерный გასაზომი

замерщик газа აირის გამზომი

замес ანარევი, ანაზელი; з. сухой მშრალი ანარევი

замешивание არევა, აზელა

замещение ჩანაცვლება; з. двойное ორმაგი ჩანაცვლება; з. изоморфное იზომორფული ჩანაცვლება

замин челнока მაქოს გაჭედვა

замирание მიყუჩება; з. ближнее მახლობელი მიყუჩება; з. радиоволн რადიოტალღების მიყუჩება; з. селективное სელექციური მიყუჩება; з. сигнала სიგნალის მიყუჩება; з. синхронное სინქრონული მიყუჩება

замкнутость შეკრულობა

замкнутый შეკრული, ჩაკეტილი; ჩართული, შერთული; მიმწყვდეული, დახშული

замковый საკეტი

замок[1] კლიტე, საკეტი; з. в два оборота ორსაბრუნი კლიტე; з. висячий ბოქლომი; з. в один оборот ერთსაბრუნი კლიტე; з. врезной ჩასასმელი კლიტე; з. гаечный ქანჩსაკეტი; з.-гак კლიტე-კავი; з. зажигания ანთების კლიტე; з. канатный ბაგირის საკეტი; з. кольца რგოლის საკეტი; з. свода საქუჩე; з. фалевый სასხლეტიანი კლიტე; з.-фиксатор, фиксаторный з. ფიქსატორული საკეტი; з. филевой ფილე-კლიტე; з.-шпингалет კლიტე-შპინგალეტი; з. щелкающий ტკაცუნა კლიტე; з. электромагнитный ელექტრომაგნიტური საკეტი

замок[2] შეერთება; з. в зуб კბილური შეერთება; з. в лапу თათური შეერთება; з. в паз კილოებით შეერთება; з. в шип კოტაი შეერთება

замоноличивание დამონოლითება

замораживание გაყინვა; з. плавки დნობის გაცივება; з. послойное შრედაშრე გაყინვა

замочечная სალბობი

замочный კლიტისა, საკეტი, საკეტისა

замощение მოკირწყვლა

замощенный მოკირწყლული

замурование ამოქოლვა, დაგმანვა

замша ნატი, ზამში

замшевый ნატისა, ზამშისა

замыкание შერთვა; з. двойное одновременное ორმაგი ერთდროული შერთვა; з. двухфазное ორფაზიანი შერთვა; з. контактов კონტაქტების შერთვა; з. короткое მოკლე შერთვა; з. короткое акустическое აკუსტიკური მოკლე შერთვა; з. междувитковое ხვიათშორისი შერთვა; з. на землю მიწასთან შერთვა; з. плавное მდორე შერთვა; з. поворотного круга საბრუნი წრის შერთვა; з. тока დენის შერთვა; з. цепи წრედის შეკვრა

замыкатель შემრთველი; з. кулачный მუშტა შემრთველი; з. переменный ცვლადი შემრთველი; з. промежуточный შუალედური შემრთველი

замыкать[1] შერთვა; з. накоротко მოკლედ შერთვა

замыкать[2] (перспективу) დასრულება (პერსპექტივისა)

замыкающий შემრთველი; ჩამკეტი; შესათავებელი

замыкающийся შერთვადი

замысел архитектурный ხუროთმოძღვრული ჩანაფიქრი

замычка შერთვა; შესართი; з. вспомогательная დამხმარე შერთვა

занавес ფარდა

занесение[1] **илом** მოლამვა

занозистый ხიწვიანი

занос[1] დალამვა; ნამქერი; з. канавы თხრილის დალამვა; з. снежный თოვლის ნამქერი

занос[2] მოქნევა; з. автомобиля ავტომობილის გვერდმოქნევა; з. заднего моста автомобиля ავტომობილის ბოლომოქნევა

зануление ჩანულება; з. защитное დამცავი ჩანულება

занятый დაკავებული

заострение წამახვა, წაწვეტება

заостренность წამახულობა; з. клина სოლის წამახულობა

заостренный წამახული, წაწვეტებული

западающий ჩამრჩენი

западина ფოსურა

запаздывание დაგვიანება; з. воспламенения აალების დაგვიანება; з. зажигания ანთების დაგვიანება; з. разряда განმუხტვის დაგვიანება; з. регенерации რეგენერაციის დაგვიანება; з. регулирования რეგულირების დაგვიანება; з. самовоспламенения თვითაალების დაგვიანება; з. фазовое ფაზური დაგვიანება

запаздывающий დაგვიანებული, მოგვიანე

запайка დარჩილვა, დაკავშირება; ნარჩილი

запал ფალია, ამნთები; з. электрический ელექტრული ამნთები

запальник საფეთქი

запальный საფალე, ამნთები

запальщик ამფეთქებელი

запан кузнечный მჭედლის წინსაფარი

запанщик ჯორგსაჭერის მუშა

запань ჯორგსაჭერი; з. аварийная საავარიო ჯორგსაჭერი

запаривание, запарка შეორთქლა, გაორთქლა; ხარშვა; з. коконов პარკის ხარშვა; з. пряжи ნართის გაორთქლა

запарник საორთქლი

запарной სახარში

запарочный საორთქლი

запас მარაგი; з. вероятный სალბათო მარაგი; з. горючего резервный საწვავის სარეზერვო მარაგი; з. достаточный საკმაო მარაგი; з. неприкосновенный ხელშეუხები მარაგი; з. ориентировочный საორიენტაციო მარაგი; з. подсчитанный გამოთვლილი მარაგი; з. покилометровый კილომეტრობრივი მარაგი; з. прочности სიმტკიცის მარაგი; з. руды მადნის მარაგი; з. устойчивости მდგრადობის მარაგი; з. хода სვლის მარაგი; з. энергии ენერგიის მარაგი; запасы მარაგი; з. вскрытые გახსნილი მარაგი; з. забалансовые (внебалансовые) ბალანსგარეშე მარაგი; з. месторождения საბადოს მარაგი; з. неограниченные განუსაზღვრელი მარაგი; з. ограниченные განსაზღვრული მარაგი

запасание მომარაგება

запасенный მომარაგებული

запасной სამარაგო, სათადარიგო

запаянный დარჩილული

запекание შეცხობა

запекающийся შეცხობადი

запертый ჩაკეტილი

запечатать ბეჭდის დადება, დაბეჭდვა, დალუქვა

запирание ჩაკეტვა; з. лампы ელექტრონმილაკის ჩაკეტვა

запирающий ჩამკეტი

записка путевая საგზაო ბარათი

записывающий ჩამწერი

запись ჩაწერა; ჩანაწერი; з. автоматическая ავტომატური ჩაწერა; з. волновая ტალღური ჩანაწერი; з. звука ბგერის ჩაწერა; з. контактная კონტაქტური ჩაწერა; з. магнитная მაგნიტური ჩაწერა; з. магнитная

поперечная განივი მაგნიტური ჩაწერა; გ. მ. **ჩანაწერი**; **з. магнитная продольная** გრძივი მაგნიტური ჩაწერა; **გ. მ. ჩანაწერი**; **з. оптическая** ოპტიკური ჩაწერა; **ო. ჩანაწერი**; **з. строчная** სტრიქონული ჩაწერა; **ს. ჩანაწერი**; **з. телевизионная** სატელევიზიო ჩაწერა; **ს. ჩანაწერი**; **з. термопластическая** თერმოპლასტიკური ჩაწერა; **თ. ჩანაწერი**; **з. трансверсальная (поперечная)** ტრანსვერსალური (განივი) ჩანაწერი

заплавка полости ღრუს დადუღება

заплавление დადუღება

заплата საკერებელი

заплеснение დობება

заплечики მხარულები; **з. рубанка** რანდის მხარულები

запломбированный დაპლომბილი

заподлицо თანპირად

заполнение შევსება, ამოვსება; **з. межкаркасное** კარკასთშორისი შევსება; **з. стеклянное** მინით ამოვსება

заполненность შევსებულობა, ამოვსებულობა

заполненный შევსებული; გლუვი

заполнитель შემვსები; **з. бетона** ბეტონის შემვსები; **з. джутовый** ჯუთის შემვსები

заполняемость შევსებადობა

заполняющий შემვსები

запоминание დახსომება

запоминающий დამხსომებელი

запор საკეტი, დასაცობი; **з. барашковый** ქანჩუკიანი საკეტი; **з. бесключевой** უგასაღებო საკეტი; **з. гидравлический** ჰიდრავლიკური საკეტი; **з. пружинный** ზამბარიანი საკეტი

запорный ჩამკეტი

заправка[1] მოპირვა; **з. буров** ბურღების მოპირვა; **з. инструмента** იარაღის მოპირვა

заправка[2] გაწყობა, გამართვა; **з. горючим** საწვავით გაწყობა; **з. машин** მანქანების გაწყობა; **з. немеханизованная** არამექანიზებული გაწყობა; **з. паровоза** ორთქლმავლის გაწყობა; **з. паровоза безогневая** ორთქლმავლის უცეცხლო გაწყობა; **з. печи** ღუმელის გაწყობა; **з. трактора** ტრაქტორის გაწყობა

заправка[3] აგება; ჩაბმა; გაბმა; **з. верхней нитки** ზედა ძაფის აგება; **з. нижней нитки** ქვედა ძაფის აგება; **з. основы** ქსელის გაბმა; **з. ткани** ქსოვილის ჩაბმა

заправленный[1] მოპირული

заправленный[2] გაწყობილი, გამართული

заправленный[3] აგებული; ჩაბმული; გაბმული

заправный სასწორებელი

заправочный გასაწყობი, გამწყობი; მოსაპირე

заправщик გამწყობი

запрессованный ჩაწნეხილი

запрессовка ჩაწნეხა; **з. вала** ლილვის ჩაწნეხა; **з. втулки** მილისის ჩაწნეხა

запрессовочный ჩაწნეხისა

запрет აკრძალვა; **з. интеркомбинационный** ინტერკომბინაციური აკრძალვა; **з. перехода** გადასვლის აკრძალვა

запретный, запрещенный აკრძალული

запроектирование დაპროექტება

запроектированный დაპროექტებული

запруда საგუბარი; **з. донная** ფსკერული საგუბარი

запруженный დაგუბებული

запруживание საგუბრის გაკეთება, დაგუბება

запряжка შებმულობა; **з. цепная** ჯაჭვიანი შებმულობა

запуск ამუშავება; გაშვება; **з. бензиновый** ბენზინით ამუშავება; **з. бревна** მორის ჩაწოდება; **з. двигателя** ძრავას ამუშავება; **з. ручной** ხელით ამუშავება; **з. спутника** თანამგზავრის გაშვება; **з. стартера** სტარტერის ამუშავება; **з. схемы** სქემის ამუშავება

запускающий ამამუშავებელი

запутанный დაბურდული, აწეწილი

запчасти, запасные части სამარაგო ნაწილები

запыленность მტვრიანობა; **з. воздуха** ჰაერის მტვრიანობა

запыленный დამტვრიანებული

запятая მძიმე; **з. плавающая** მცოცავი მძიმე; **з. фиксированная** ფიქსირებული მძიმე

заравнивание მოსწორება

заражение მოწამვლა; **з. бассейна** აუზის მოწამვლა; **з. ванны** აბაზანის მოწამვლა; **з. сероводородное** წყალბადგოგირდოვანი მოწამვლა

зараженность მოწამლულობა

зарастание შეზრდა, ამოზრდა; **з. карры** ნაღარის შეზრდა; **з. настылями** ნაღვენთებით ამოზრდა; **з. труб** მილების გაბლითვნა

зарез ჩანაჭერი

зарезание, зарезка ჩაჭრა; **з. пилы** ხერხის აცდენა

зарезчик шипов კოტაჩამჭრელი

зарисовка ჩახატვა; ჩანახატი

зародыш ჩანასახი

зарождение ჩასახვა, გაჩენა

заросль რაყა

заруб на дереве (порок) ხის ჭდე (მანკი)

зарубка ჩაჭრა; გაყელვა, ჩაყელვა; ჭდე; **з. бревна** მორის ჩაყელვა; **з. машинная** მანქანური გაყელვა; **з. предварительная** წინწარი გაყელვა; **з. ручная** ხელით გაყელვა; **з. шпалы** შპალის ჩაჭრა

зарубной ნაყელავი

зарубщик ყელავი

заруханне стекла *об.* **расстекловывание,**

заряд მუხტი; დამუხტვა; **з. внешний** გარეგანი მუხტი; **з. внутренний** შინაგანი მუხტი; **з. выброса** გამოყრის მუხტი; **з. детонатора первичный** დეტონატორის პირველადი მუხტი; **з. диафрагмы** დიაფრაგმის მუხტი; **з. инициальный** საწყისი მუხტი; **з. камерный** კამერული მუხტი; **з. колонковый** სვეტიანი მუხტი; **з. конденсатора** კონდენსატორის მუხტი; **з. кумулятивный** კუმულაციური მუხტი; **з. магнитный** მაგნიტური მუხტი; **з. минный** სანაღმო მუხტი; **з. наибольшего сжатия** უდიდესი კუმშვის მუხტი; **з. накладной** ზედადები მუხტი; **з. непрерывный** უწყვეტი მუხტი; **з. нормального выброса** ნორმალური გამოყრის მუხტი; **з. объемный** მოცულობითი მუხტი; **з. ослабленный** შესუსტებული მუხტი; **з. открытый** ღია მუხტი; **з. отрицательный** უარყოფითი მუხტი; **з. погонный** სიგრძივი მუხტი; **з. положительный** დადებითი მუხტი; **з. предельный** ზღვრული მუხტი; **з. прерывный** წყვეტილი მუხტი; **з. простого выброса** მარტივი გამოყრის მუხტი; **з. пространственный** სივრცული მუხტი; **з. рассредоточенный** განწერტებული მუხტი; **з. рыхления** გაფხვიერების მუხტი; **з. свежезасосанный** ახლშეწოვილი მუხტი; **з. связанный** ბმული მუხტი; **з. сжатия** კუმშვის მუხტი; **з. сосредоточенный** ჩაწერტებული მუხტი; **з. сплошной** მთლიანი მუხტი; **з. статический** სტატიკური მუხტი; **з. точечный** წერტილოვანი მუხტი; **з. удельный** კუთრი მუხტი; **з. удлиненный** წაგრძელებული მუხტი; **з. ультрамикронов** ულტრამიკრონების მუხტი; **з. усиленный** გაძლიერებული მუხტი; **з. фигурный** ფიგურული მუხტი; **з. фиктивный** ფიქციური მუხტი; **з. холостой** უქმი მუხტი; **з. шнуровой** შნურისებრი მუხტი; **з. электрический** ელექტრული მუხტი; **з. электрона** ელექტრონის მუხტი; **з. ядерный** ატომური მუხტი; **з. ярусный** სართულოვანი მუხტი; **заряды** მუხტები; **з. сближенные** მიახლოებული მუხტები.

зарядка[1] დამუხტვა; **з. аккумулятора** აკუმულატორის დამუხტვა; **з. батареи** ბატარეის დამუხტვა

зарядка[2] შევსება; **з. тормоза** მუხრუჭის შევსება

зарядник სამუხტავი

зарядный მუხტვისა, სამუხტავი

зарядомер მუხტსაზომი

заряжающий დამმუხტავი

заряжение დამუხტვა; **з. россыпью** ჩაყრით დამუხტვა

заряженность დამუხტულობა

заряженный დამუხტული; ლაღუმიანი

засаливание გაზინთვა; **з. шкурки** ზუმფარის გაზინთვა

засасывание შეწოვა

засверловка გაბურღვა

засекание ჩაჭდევა; დანიშვნა; **з. времени** დროის დანიშვნა; **з. дуги** რკალის ჩაჭდევა

заселение დასახლება

засечка მოკვეთა, გადაკვეთა; დაჭდევა; ჭდე

заслон საფარი; **з. из инертной пыли** ინერტული მტვრის საფარი; **з. сланцевый** ფიქლიანი საფარი

заслонка საფარი; **з. бункерная** ბუნკერის საფარი; **з. воздушная** ჰაერსაფარი; **з. дроссельная** დროსელ-საფარი; **з. дымовая** საკვამლე საფარი; **з. клапана** სარქვლის საფარი; **з. подогрева** შეთბობის საფარი; **з. тормозящая** მამუხრუჭებელი საფარი; **з. фрикционная** ფრიქციული საფარი; **з. шторная** ფარდასაფარი

засмолка გაფისვა, ჩაფისვა

засмолок ჩანაფისი

засов ურდული

засоленный მლაშე

засорение გამოგნესა; დანაგვიანება; **з. выносов** ნარიყის დანაგვიანება; **з. кокса** კოქსის დანაგვიანება; **з. трубы** მილის გამოგნესა

засоренность ნაგვიანობა

засос შეწოვა

заставка ჩასმა, ჩაყენება, ჩადგმა, შედგმა; ღობური

застегивание შეკვრა, შებნევა, შეკილოება

застежка შესაკრავი, საკიდი, კილო

застекление მომინვა, მინის ჩასმა

застекленный მომინული

застилистый საფენი

застилка დაფენა, დაფარვა; **з. почвы** ნიადაგის დაფარვა

застой воды წყლის შეგუბება

застойный დამდგარი

застопоривание შეჩერება

застревание გაჩხირვა; **з. в зеве** გაჩხირვა ხახაში; **з. породы** ქანის გაჩხირვა

застрига спицы მანის თავი

застрожка ჩანარანდი

застройка გაშენება; **з. ансамблевая** ანსამბლური გაშენება; **з. периметральная** პერი-

მეტრული გაშენება; з. свободная თავისუფალი გაშენება; з. сплошная მთლიანი გაშენება; з. строчная მწკრივული გაშენება; з. тесная მჭიდრო გაშენება

застройщик გამშენებელი

заструга ნარანდული

застуднева́ние დალბობა; з. клея წებოს დალბობა

заступ ბარი

застыва́ние გაცივება; გაძგიფვა, გამყარება; з. расплава ნადნობის გაძგიფვა

застывший გაძგიფული, გამყარებული

засылка შეცდარგზავნა; შეცდარგზავნილი

засыпка ჩაყრა, დაყრა, ამოვსება; ჩანაყარი, დანაყარი; з. канала არხის ამოვსება; з. утрамбованная დატკეპნილი ჩანაყარი

затаски утка მისაქსელის ჩათრევა

затачи́вание ალესვა, წალესვა; წამახვა

затвердевший გამაგრებული, გამყარებული

затверде́ние გამაგრება, გამყარება; з. слитка ზოდის გამყარება

затво́р საკეტი; з. автоматический ავტომატური საკეტი; з. барометрический ბარომეტრული საკეტი; з. бочарный კასრული საკეტი; з. бункерный ბუნკერის საკეტი; з. водяной წყლით საკეტი; з. воздушный ჰაერსაკეტი; з. вращающийся მბრუნავი საკეტი; з. газовый აირსაკეტი; з. гидравлический ჰიდრავლიკური საკეტი; з. дроссельный დროსელიანი საკეტი; з. жидкостный სითხიანი საკეტი; з. задвижной შესაწევი საკეტი; з. игольчатый ნემსა საკეტი; з. клиновой სოლისებრი საკეტი; з. колошниковый საკრძის საკეტი; з. масляный ზეთის საკეტი; з. плавающий მცურავი საკეტი; з. полугидравлический ნახევრად ჰიდრავლიკური საკეტი; з. разгрузочный განმტვირთავი საკეტი; з. секторный სექტორული საკეტი; з. тонущий დაძირული საკეტი; з. центральный ცენტრალური საკეტი; з. цилиндрический ცილინდრული საკეტი; з. шаровой სფერული საკეტი; з. шиберный იხ. заслонка шиберная; з. шторный ფარდისებრი საკეტი; з. щелевой იხ. з. шторный; з. щитовой ფარისებრი საკეტი; затворы საკეტები; з. с нижними щитками ქვედაფარებიანი საკეტები; з. с низовой осью вращения ბრუნვის ქვედაღერძიანი საკეტები

затворе́ние ადუღება; з. раствора ხსნარის ადუღება

затво́рный საკეტი

затека́ние წყლის შედინება

затемне́ние დაბნელება; з. каналов არხების დაჩრდილვა

затемненный დაბნელებული

затес, затеска (порок) შენათალი (მანკი); з. бревна მორის შენათალი

затесывание, затеска შეთლა, წათლა, წამახვა; შენათალი; затеска кольев მარგილების წამახვა

затирка წაგლესა, მიხეხვა; з. гипсовая თაბაშირის წაგლესა; з. глиняная თიხის წაგლესა; з. поверхности ზედაპირის გადაგლესვა; з. цементная ცემენტის წაგლესა

затиха́ние მინელება, მიყუჩება

затме́ние დაბნელება; з. солнца მზის დაბნელება; з. частичное ნაწილობრივი დაბნელება

затон ნაგუბი; ყურე (მდინარისა)

затопка შენთება

затопле́ние დატბორვა; ჩაძირვა; з. котлована ქვაბულის წყლით ამოვსება; з. перепада ვარდნილის დატბორვა; з. прыжка ნახტომის დატბორვა

затопленный დატბორილი; ჩაყვინთული; ნაძირული

затопля́емость ტბორვადობა

затопля́емый სატბორი

затор ხერგილი; з. ледяной ყინულხერგილი

затормажи́вание დაშუხრუჭება

заторможенный დაშუხრუჭებული

заточенный ალესილი

заточка ალესვა; з. анодно-механическая ანოდურ-მექანიკური ალესვა; з. двойная ორმაგი ალესვა; з. зубьев კბილების ალესვა; з. пилы ხერხის ალესვა; з. централизованная ცენტრალიზებული ალესვა

заточный სალესი

затравка ამთები; საფალიე

затрамбовка ჩატკეცა

затраты замыкающие შესათავებელი ხარჯები

затраченный დახარჯული

затупление დაბლაგვება

затуха́ние მილევა, ჩაქრობა; з. активное აქტიური მილევა; з. балансное ბალანსური მილევა; з. волны ტალღის მილევა; з. движения მოძრაობის მილევა; з. детонации დეტონაციის მილევა; з. звука ბგერის მილევა; з. излучения გამოსხივების მილევა; з. колебаний რხევათა მილევა; з. контактной массы საკონტაქტო მასის ჩაქრობა; з. критическое კრიზისული მილევა; з. огня ცეცხლის ჩაქრობა; з. отражения არეკლის მილევა; з. пассивное პასიური მილევა; з. переходное გარდამავალი მილევა; з. пространственное სივრცული მილევა; з. регулятора რეგულატორის მილევა; з. сброса ნასხლეტის მილევა; з. света სინათლის მილევა, ს. ჩაქრობა.

затуха́ющий მილევადი

затыка́ние დაცობა

затылок კეფა

затычка ტიზი

затя́гивание შემოჭერა, შეკოჭვა; შეტაცება; შეხიმვა; გაჭიანურება, დაყოვნება; з. колебаний რხევათა დაყოვნება; з. плавки დნობის გაჭიანურება; з. процесса პროცესის გაჭიანურება; з. частоты სიხშირის დაყოვნება

затя́жка შემკვრელი, საკოჭი; з. подбуксовая ბუქსის საკოჭი; з. подвесная კიდული შემკვრელი; з. стропильная ნივნივის საკოჭი

затя́жной დაყოვნებული

зауральный ურანმიღმა

заусенец, заусеница, заусенок ხიწვი

заформовка დაყალიბება

захва́т[1] გატანის განი; პირმოდება; з. рабочий მუშა პირმოდება; з. широкий ფართო პირმოდება

захва́т[2] წატაცება; სატაცი; з. водораздела წყალგამყოფის წატაცება; з. нейтрона ნეიტრონის წატაცება; з. при прокате წატაცება გლინვისას; з. радиационный რადიაციული წატაცება; з. роликовый გორგოლაჭებიანი სატაცი; з. электрона ელექტრონის წატაცება

захва́тка[1] იხ. подхват, подхватчик

захва́тка[2] მონაზომი

захва́тный, захва́тывающий წამტაცი, სატაცი

захва́тывание წატაცება; з. частоты სიხშირის წატაცება

захва́тывающий მოდებისა, მოჭიდებისა

захва́ченный წატაცებული, ატაცებული, მიტაცებული

захламле́ние ჩახერგვა; з. лесосеки ტყესაკაფის ჩახერგვა

захлёбывание насадки წყობურის დაშთობა

заходка სპირაჯო; з. двусторонняя ორმხრივი სპირაჯო

заце́п ჩამჭიდი, საკავი; з. троса გვარლის საკავი

зацепка მოდება, მოჭიდება; ჩამჭიდი, საკავი

зацепле́ние მოდება; ჩაბმა; з. беззазорное უღრეჩო მოდება; з. бесшумное უხმაურო მოდება; з. винтовое ხრახნული მოდება; з. внешнее გარემოდება; з. внутреннее შიგამოდება; з. гиперболоидное ჰიპერბოლოიდური მოდება; з. зубчатое კბილა მოდება; з. коническое კონუსური მოდება; з. корригированное კორექტირებული მოდება; з. наружное იხ. з. внешнее; з. октоидное ოქტოიდური მოდება; з. постоянное მუდმივი მოდება; з. реечное ლარტყული მოდება; з. тороидное ტოროიდული მოდება; з. фрикционное ფრიქციული მოდება; з. цевочное მასრული მოდება; з. цилиндрическое ცილინდრული მოდება; з. червячное ჭიახრახნული მოდება; з. шестерен კბილანების მოდება; з. эвольвентное ევოლვენტური მოდება

зачалка каната ბაგირის გადაბმა

зачеканка ჩაკერვა

зачерпывание ამოჩამჩვა

зачи́стка გაწმენდა, ჩამოწმენდა, ჩაწმენდა; მოცლა; з. забоя სანგრევის ჩამოწმენდა; з. заусениц ხიწვების მოცლა; з. литья სხმულის ჩამოწმენდა; з. обжимкой ჩაწმენდა შემოჭერით; з. огневая ცეცხლით ჩამოწმენდა; з. поверхности ზედაპირის ჩამოწმენდა; з. породы ქანის ჩამოწმენდა

зачи́стной ჩასაწმენდი

зачи́щение მოსუფთავება, მოგლუვება, მოსწორება

зашиповка კოტას ჩაჭრა

зашкивление каната ბაგირის გაკეჟა

зашлакование გაწიდვა, ამოწიდვა

зашлинтование, зашлинтовка დაჟილიბყურება

зашлинтованный დაჟილიბყურებული

заштрихованный დაშტრიხული

заштыбовка бара ბარის ჩაჭედვა

защебе́нка ჩაღორღვა, მოღორღვა

защелка საკეტელა, რაზა; სასხლეტი; з. анкерная ანკერის საკეტელა; з. дверная რაზა; з. замка კლიტის საკეტელა; з. пружинная ზამბარიანი საკეტელა; з. фалевая სასხლეტიანი საკეტელა; з. хрáповая ხრუტუნა საკეტელა; з. челнока მაჭოს სასხლეტი

защелкивающий საკეტი; სასხლეტი

защемле́ние ჩამაგრება

защемленный ჩამაგრებული

защи́та დაცვა; საფარი; з. буферная ბუფერული დაცვა; з. быстродействующая სწრაფმოქმედი დაცვა; з. газовая აირული დაცვა; з. грозовая მეხისაგან დაცვა; მეხდამცავი; з. дистанционная დისტანციური დაცვა; з. живая იხ. изгородь живая; з. земляная მიწური დაცვა; з. катодная კათოდური დაცვა; з. коллоидная კოლოიდური დაცვა; з. магнитная მაგნიტური დაცვა; з. максимальная მაქსიმალური დაცვა; з. минимальная მინიმალური დაცვა; з. нулевая ნულოვანი დაცვა; з. подходов მისასვლელების დაცვა; з. протекторная პროტექტორული დაცვა; з. противогрозовая მეხსაწინააღმდეგო დაცვა; з. противокоррозионная კოროზიისაწინააღმდეგო დაცვა; з. релейная რე-

ლეური დაცვა; з. свинцовая ტყვიის საფარი
защитительный დამცავი
защитный დაცვის, დამცავი
защищенный დაცული
заэвтектический ზეევტექტიკური
заэвтектоидный ზეევტექტოიდური
„заячья лапа“ „კურდღლის თათი“
звезда ვარსკვლავი; з. неподвижная უძრავი ვარსკვლავი; з. переменная ცვლადი ვარსკვლავი; з. полярная პოლარული ვარსკვლავი
звездный ვარსკვლავისა, ვარსკვლავიერი
звездовой ვარსკვლავი
звездообразный ვარსკვლავისებრი
звездочка ვარსკვლავა; з. ведущая წამყვანი ვარსკვლავა; з. гусеницы მუხლუხის ვარსკვლავა; з. концевая ბოლო ვარსკვლავა; з. нажимная დასაჭერი ვარსკვლავა; з. приводная ამძრავი ვარსკვლავა; з.-ролик ვარსკვლავა-გორგოლაჭი
звездочный, звездчатый ვარსკვლავა
звездчатка იხ. борона звездчатая
звенеть წკარუნი
звено რგოლი; წევრი; з. автоколебательное თვითმერხევი წევრი; з. апериодическое აპერიოდული წევრი; з. гусеничное მუხლუხის წევრი; з. динамическое დინამიკური წევრი; з. дифференцирующее მადიფერენცირებელი წევრი; з. интегрирующее მაინტეგრირებელი წევრი; з. колебательное რხევითი წევრი; з. консервативное კონსერვატიული წევრი; з. механизма მექანიზმის წევრი; з. множительное მამრავლი წევრი; з. неустойчивое არამდგრადი რგოლი; з. рабочее მუშა რგოლი; з. статическое (устойчивое) სტატიკური (მდგრადი) რგოლი; з. усилительное მაძლიერებელი წევრი; з. форсирующее მაფორსირებელი რგოლი; з. цепи ჯაჭვის რგოლი
звеньевой რგოლური
звенящий წკრიალა
звон რეკა, წკარუნი, ჟღერა, ჟღარუნი; з. металла ლითონის წკარუნი; з. металлический ლითონური წკარუნი
звонкий წკრიალა, მჟღერი
звонкость ჟღერადობა
звонок ზარი; з. безыскровый უნაპერწკლო ზარი; з. индуктивный ინდუქციური ზარი; з. одноударный ერთი დარტყმის ზარი; з. поляризованный პოლარიზებული ზარი; з. предупредительный მაფრთხილებელი ზარი; з. сигнальный სასიგნალო ზარი; з. электрический ელექტრული ზარი, ელექტროზარი
звук ბგერა; ხმა; з. второй მეორე ბგერა; з. глухой ყრუ ბგერა; з. диффузный დიფუზური ბგერა; з. дребезжащий ჟღრიალა ბგერა; з. звенящий წკრიალა ბგერა; з. основной ძირითადი ბგერა; з. отраженный ანარეკლი ბგერა; з. прерывистый წყვეტილი ბგერა; з. пронзительный წვდანა ბგერა; з. резкий მკვეთრი ბგერა; з. ритмический რიტმული ბგერა; з. чистый წმინდა ბგერა; з. ясный მკაფიო ბგერა
звуковой ბგერისა, ბგერითი, ბგერული; ხმოვანი
звуковоспроизведение ბგერათაღწარმოება; з. псевдостереофоническое ფსევდოსტერეოფონიკური ბგერათაღწარმოება
звуковоспроизводящий ბგერათაღმწარმოები
звукоглушитель ბგერათმაყუჩი, ხმასახშობი
звукозаписывающий ბგერათჩამწერი
звукозапись ბგერათჩაწერა; ბგერათჩანაწერი; з. волновая ტალღური ბგერათჩაწერა; ტ-ბგერათჩანაწერი; з. глубинная სიღრმული ბგერათჩაწერა; ს. ბგერათჩანაწერი; з. интенсивная ინტენსიური ბგერათჩაწერა; ი. ბგერათჩანაწერი; з. магнитная მაგნიტური ბგერათჩაწერა; მ. ბგერათჩანაწერი; з. оптическая ოპტიკური ბგერათჩაწერა; ო. ბგერათჩანაწერი; з. световая შუქური ბგერათჩაწერა; შ. ბგერათჩანაწერი; з. трансверсальная განივი ბგერათჩაწერა; გ. ბგერათჩანაწერი
звукозрительный ბგერამხედველობითი
звукоизлучатель ბგერათგამომსხივარი
звукоизолятор ბგერათსამხოლოებელი, ბგერათსაიზოლაციო
звукоизоляционный ბგერათსამხოლოებელი, ბგერათსაიზოლაციო
звукоизоляция ბგერათგანმხოლოება, ბგერათიზოლაცია
звуколокация ბგერითი ლოკაცია
звукометрический ბგერათსაზომი
звукометрия ბგერათმზომელობა
звуконепроницаемый ბგერათშეუღწევი
звуконоситель ბგერათმატარებელი
звукоотражение ბგერის არეკვლა
звукопеленгатор ბგერათპელენგატორი
звукопередача ბგერათგადაცემა; з. бинауральная ბინაურული ბგერათგადაცემა; з. монофоническая მონოფონიკური ბგერათგადაცემა
звукопоглотитель резонансный რეზონანსული ბგერათშთამნთქმელი
звукопоглощаемость ბგერათშთანთქმადობა
звукопоглощающий ბგერათშთამნთქმელი
звукопоглощение ბგერათშთანთქმა
звукоприемник ბგერათმიმღები; з. подводный წყალქვეშა ბგერათმიმღები

звукопроводность ბგერათგამტარობა, ხმაგამტარობა
звукопроводный ბგერათგამტარი, ხმაგამტარი
звукопроекция ბგერათპროექცია
звукопроницаемость ბგერათშეღწევადობა
звукопроницаемый ბგერათშეღწევადი
звукоряд ბგერათრიგი; з. унтертонный უნტერტონული ბგერათრიგი
звукоснимать ბგერათამრთმევი
звукосопровождение ბგერითი თანხლება
звукоуловитель ბგერათდამჭერი
звукоусиление ბგერათგაძლიერება
звукофикация გახმოვანება
звучание ბგერადობა, ბგერა; з. записанное ჩაწერილი ბგერადობა; з. объемное მოცულობითი ბგერადობა
звучащий მბგერი
звучность ხმიერობა, ჟღერადობა
звучный ხმიერი, მჟღერი
здание შენობა; з. водоемное წყალსატევი შენობა; з. высотное მაღალი შენობა; з. жилое საცხოვრებელი შენობა; з. каркасное კარკასული შენობა; з. машинное საბანქანო შენობა; з. надшахтное შახტზედა შენობა; з. неогнестойкое არაცეცხლმედეგი შენობა; з. общественное საზოგადოებრივი შენობა; з. паровозное веерное მარაოსებრი საორთქლმავლო შენობა; з. постоянного жилья მუდმივსაცხოვრებელი შენობა; з. путевое სალიანდაგო შენობა; з. строящееся მშენებარე შენობა; з. фахверковое ჩალანგრის შენობა
зев ხახა; з. верхний ზედა ხახა; з. двойной ორმაგი ხახა; з. дробилки სამსხვრეველას ხახა; з. закрытый დახურული ხახა; з. нижний ქვედა ხახა; з. открытый ღია ხახა; з. полуоткрытый ნახევრად ღია ხახა; з. ручья ღარულას ხახა; з. чистый სუფთა ხახა
зейгерование ზეიგერება
зейгеровочный საზეიგეროი
зеленый метиловый მეთილმწვანე
зелень მწვანა; з. изумрудная ზურმუხტის მწვანა; з. лейкомалахитовая ლეიკომალაქიტის მწვანა; з. малахитовая მალაქიტის მწვანა; з. медная სპილენძის მწვანა; з. парижская პარიზული მწვანა; з. сухая მშრალი მწვანა; з. тертая на масле ზეთში გახსნილი (გაქნილი) მწვანა; з. хромовая ქრომმწვანა; з. цинковая თუთიის მწვანა, з. чистая сухая ხალასი მშრალი მწვანა
землебитный მიწატკეპნილი
земледелка მიწასამზადი
землекопный მიწასათხრელი
землемяльный მიწასაზელი
землеройный მიწასათხრელი
землесос მიწასაწოვი; з. плавучий მცურავი მიწასაწოვი
землесосный მიწასაწოვი
землетрясение მიწისძვრა; з. блуждающее მოარული მიწისძვრა; з. вулканическое კულკანური მიწისძვრა; з. единичное ერთეული მიწისძვრა; з. местное ადგილობრივი მიწისძვრა; з. мигрирующее იხ. з. блуждающее; з. повреждающее დამაზიანებელი მიწისძვრა; з. подводное წყალქვეშა მიწისძვრა; з. последующее მომდევნო მიწისძვრა; з. предшествующее, предыдущее з. წინამორბედი მიწისძვრა; з. разрушительное დამნგრეველი მიწისძვრა; з. роевое გუნდური მიწისძვრა; з. тектоническое ტექტონიკური მიწისძვრა; з. уничтожающее გამანადგურებელი მიწისძვრა
землеуборочный მიწისასაღები
землефреза მიწის ფრეზი
землечерпалка მიწახაპია; з. водоструйная წყალჭავლური მიწახაპია; з. многоковшовая მრავალცვრიანი მიწახაპია; з. многочерпаковая მრავალჩამჩიანი მიწახაპია; з. одночерпаковая ერთჩამჩიანი მიწახაპია
землечерпальный მიწახაპია, მიწასახაპი
землистый მიწისებრი, მიწიანი
земля დედამიწა, მიწა; з. адсорбирующая მაადსორბირებელი მიწა; з. вязкая ბლანტი მიწა; з. глинистая თიხნარი მიწა; з. диатомовая დიატომური მიწა, ქვის ცარცა; з. естественная ბუნებრივი მიწა; з. жженая მწვარი მიწა; з. иловатая ლამიანი მიწა; з. инфузорная (инфузорит) იხ. земля диатомовая; з. искусственная ხელოვნური მიწა; з. малопластичная მცირეპლასტიკური მიწა; з. модельная სამოდელო მიწა; з. наполнительная ამსები მიწა; з. облицовочная მოსაპირკეთებელი მიწა; з. отработанная ნამუშევარი მიწა; з. разрыхленная გაფხვიერებული მიწა; з. растительная მცენარეული მიწა, ნეშომპა მ.; з. санторинская სანტორინის მიწა; з. сырая ნედლი მიწა; з. торфянистая ტორფიანი მიწა; з. тощая მშრალი მიწა; з. формовочная საყალიბო მიწა; земли მიწები; з. красящие საღებარი მიწები; з. редкие იშვიათი მიწები; з. щелочные ტუტე მიწები
землянка მიწური
земляной მიწისა, მიწური
земник ბორცველა
земной მიწისა, მიწისეული, მიწიერი; დედამიწისა, დედამიწისეული, დედამიწური
земснаряд იხ. снаряд землесосный
зензубель ქუშტარა
зенит ზენიტი

зенитный ზენიტისა, საზენიტო
